

ეკოგანათლების განვითარება საქართველოს სკოლებში





- Visegrad Fund

The project is co-financed by the Governments of Czechia, Hungary, Poland and Slovakia through Visegrad Grants from International Visegrad Fund.

The mission of the fund is to advance ideas for sustainable regional cooperation in Central Europe.

ჩვენი პროექტის შესახებ

ჩვენი პროექტი - „ეკოგანათლების განვითარება საქართველოს სკოლებში“ - საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში დანერგავს ეკოლოგიური განათლების საფუძვლებს.

ჩვენი მიზანია გავაფართოვოთ საგანმანათლებლო მასალების ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მასწავლებლისთვის საქართველოში.

გვსურს მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება და მათი ყურადღების მიმართვა გარემოსდაცვითი პრობლემებისადმი და ეკოლოგიური განათლების პროცესში სკოლის როლის მიმართ.

სკოლის დონეზე, საფუძველშივე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სწვლება, ინვესტს შემდგომში უფრო ეკოლოგიურ და ეკოლოგიურად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას და ამავედროულად ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების მცხოვრებთა ცხოვრების დონისა და ცნობიერების ამაღლებას.

ეკოლოგიური განათლების სფეროში მომუშავე, პოლონეთის, სლოვაკეთის და ჩეხეთის ორგანიზაციების ექსპერტების აქტიური მონაწილეობა გამოცდილების გავცლისა და ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი განათლების შემდგომ განვითარების შესაძლებლობას იძლევა.



ეკოგანათლება ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში.

საქართველო 04

სლოვაკეთი 10

კოლონეთი 19

ჩეხეთის რესპუბლიკა 23

მეთოდები 30

საქართველო

ეკოლოგიური სიტუაცია
საქართველოში



კლიმატის ცვლილებები რეგიონში

„IPCC-ის უახლესი ანგარიში ასახავს გლობალური კლიმატის კრიზისის მძიმე სურათს, რომელიც გამოწვეულია მიმდინარე ანთროპოგენური დათბობით. სამხრეთ კავკასიაში მოხდა ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება, უხვი ნალექის დონისა და სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური გვალვების დროს, რამაც საფრთხე შეუქმნა ჰიდროელექტროსადგურების ფუნქციონირებას.

გარდა ამისა, გაიზარდა ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა; მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ანგარიშში აღწერილია 51 ექსტრემალური ამინდის მოვლენა სამხრეთ კავკასიაში 1990 წლიდან (25 საქართველოში). მთლიანი პროგნოზირებული ეკონომიკური ზარალი (ადამიანური მსხვერპლი გარეშე) ამ ექსტრემალური ამინდის მოვლენების მხოლოდ მესამედზე - სულ 17 - აღწევს განსაცვიფრებელ 1,11 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს.

რეგიონში დაბინძურების მაღალი დონე ამ კლიმატური კატასტროფების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. მაგალითად, 2020 წლის მსოფლიო ჰაერის ხარისხის ანგარიშის მიხედვით, საქართველო, მსოფლიოში 37-ე ყველაზე დაბინძურებული ქვეყანაა. მიუხედავად ამ საგანგაშო სტატისტიკისა, საქართველომ მიაღწია თანმიმდევრულ პროგრესს ენერგეტიკული ტრანზიციის წინსვლის მხრივ. ("კლიმატის ცვლილება საქართველოში" 2021, ანდრეი კოვატარიუ)

კლიმატის ცვლილების შედეგებთან გამკლავება – გადაწყვეტილებები საქართველოში

* დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებში ამოქმედდა სარეიტინგო სისტემა

საქართველო გზას იკვლავს უფრო მეტად გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების დემოკრატიისკენ

გარემოსდაცვითი დემოკრატიის პრინციპები განიხილეს სამშაბათს, 21 სექტემბერს, ეროვნულ სემინარზე საქართველოში, რომელიც ორგანიზებულ იყო ვესტმინსტერის ფონდის დემოკრატიისთვის (WFD), საქართველოს პარლამენტთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარტნიორობით.


საქართველოში უფრო გამჭვირვალე და ინკლუზიური გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების მენეჯმენტი შექმნის პროცესის წინ ნაწილის მიზნით. შეხვედრაზე გამოცხადდა ახალი პროგრამის – „ეკოლოგიური დემოკრატიის განვითარება საქართველოში“ – რომელიც დაფინანსებული დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ საქართველოში და განხორციელებული WFD-ის მიერ. საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა. გარემოსდაცვითი დემოკრატიის ეს სამწლიანი პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ გამოიმუშაოს მდგრადი პოლიტიკური ნება, რომელიც, გარემოსდაცვითი დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად, აუცილებელია გარემოსდაცვითი და კლიმატის საკითხების გადასაჭრელად. პროგრამა ფოკუსირებული იქნება პოლიტიკური აქტორების მხარდაჭერაზე, რათა შექმნან კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომელიც იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ინკლუზიური და შეასრულებს საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილში (NDC) განერილ და სხვა ეკოლოგიურ ვალდებულებებს.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, ასევე შესაძლო რეფორმებისა და კოალიციების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც საჭიროა საქართველოში გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარების დასაჩქარებლად, მდგრადი პოლიტიკური ნების გამოიმუშავებისას, რომელიც აუცილებელია გარემოსდაცვითი და კლიმატის საკითხების გადასაჭრელად და მთავარ პოლიტიკურ აქტორებს, სათემო ორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას შორის დიალოგის გასაძლიერებლად.


ასევე განხილული იყო ეროვნული და გლობალური მასშტაბით საქართველოს მოქალაქეების მოსაზრებები და დამოკიდებულებები გარემოსდაცვითი პრობლემებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ. ქალაქში მცხოვრებ რესპონდენტებს შორის ყველაზე ხშირად ჩამოთვლილი სამი პრობლემაა ჰაერის დაბინძურება (81%), მაღალი ტემპერატურა (74%) და მოსავლის შემცირება (64%). იმავდროულად, სოფლის დასახლებებში გამოკითხული კვლევის მონაწილეებისთვის ყველაზე პრობლემატურია მაღალი ტემპერატურა (86%), მოსავლის შემცირება (74%) და გაზრდილი გვალვიანობა (82%).

მსოფლიოს წინაშე მდგარი სამი ყველაზე სერიოზული პრობლემის კუთხით, საქართველოს მოსახლეობა პირველ ადგილზე აყენებს კლიმატის ცვლილებას და გარემოს დეგრადაციას (57%), რასაც მოჰყვება სიღარიბე, შიმშილი და სასმელი წყლის ნაკლებობა (50%) და ინფექციური დაავადებების გავრცელება (50%). გამოკითხული მოსახლეობის აზრით, საქართველოში არსებული ეკოლოგიური პრობლემებიდან ყველაზე სერიოზულია ჰაერის დაბინძურება (57%), ტყეების გაჩეხვა (56%) და წყლის დაბინძურება (31%).


ყველაზე ხშირად ჩამოთვლილი პრობლემები ქალაქელ რესპონდენტებს შორის




სოფლის დასახლებებში ყველაზე ხშირად ჩამოთვლილი პრობლემები



სამი ყველაზე სერიოზული პრობლემა



ყველაზე სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები



რა არის კლიმატის ცვლილება?

წარმოიდგინეთ სათბური ზამთრის პერიოდში. მზის სხივები შუშის მეშვეობით აღწევს სათბურში, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ ძალიან ცივა. მზე სწრაფად ათბობს სათბურის ინტერიერს, მის ნიადაგს და შიგნით არსებულ მცენარეებს.

★ სთხოვეთ მოსწავლეებს ეცადონ თავად ახსნან ეკოლოგიის ყველაზე დიდი პრობლემა. უკეთესია, თუ გამოიყენებენ საკუთარ სიტყვებს, ასოციაციებს. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოაწყოთ ოქსფორდის დებატები, რათა დაუპირისპიროთ ცოდნა ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც უარყოფენ კლიმატის ცვლილებას.



იგივე შეიძლება ითქვას დედამიწის ატმოსფეროზეც. მზე ათბობს დედამიწის ზედაპირს და ატმოსფეროს, ამ სითბოს 70% უკან კოსმოსში ბრუნდება. წიაღისეული საწვავის წვისას გამოყოფილი სათბურის გაზები, ისეთები როგორცაა, ნახშირორჟანგი, მეთანი, ა . შ. ატმოსფეროს გარს ეკვრის და შემოსული მზის სხივების უკან, კოსმოსში დაბრუნებას ხელს უშლის, ინახავს სითბოს, ანუ ქმნის „სათბურის ეფექტს“, შედეგად კი დედამიწაზე ტემპერატურა იზრდება.

სათბურის ეფექტი 1824 წელს ჯოზეფ ფურიემ აღმოაჩინა, 1896 წელს კი სვანტე არენიუსმა რაოდენობრივად შეისწავლა. სათბურის ეფექტის გარეშე დედამიწის ზედაპირი დღევანდელთან შედარებით 30°-ით უფრო ცივი იქნებოდა. ითვლება, რომ XX საუკუნეში დედამიწის კლიმატის გლობალური დათბობა ატმოსფეროში სათბურის ეფექტის მექანიზმების კონცენტრაციის ზრდითაა გამოწვეული.

- ◆ გაანალიზეთ, თუ როგორ ურთიერთქმედებ ადამიანი ბუნებასთან და იყენებს მას საკუთარი მიზნებისთვის. მიუთითეთ კონკრეტული ქმედებები და სფეროები



ადამიანის წვლილი კლიმატის შესაძლო ცვლილების პროცესში:

- ◆ ურბანიზაცია და ბუნებრივად წარმოქმნილი გავრცელების ადგილების მოსპობა ქალაქის განაშენიანებისათვის
- ◆ ელექტროობა ან ენერჯის სხვა წყაროები, რაც წარმოებულია სანვაკის, ნახშირის ან ბუნებრივი გაზის წვით
- ◆ გაუმართავი და არაეფექტურად გამოყენებული ავტომობილები
- ◆ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ცუდი დაგეგმარება და გარეუბნების ფართობის ზრდა, ქალაქებში ფეხით ან ველოსიპედით გართულებული ან საერთოდ შეუძლებელი გადაადგილება
- ◆ ქარხნები და სამრეწველო მეურნეობა, მათი დამაბინძურებელი ნარჩენები კლავენ ბუნებრივ გავრცელების ადგილებს, ქიმიური პესტიციდების, ჰერბიციდებისა და ფუნგიციდების გამოყენება
- ◆ ჩვენი უაღრესად თავისუფალი ცხოვრების სტილი, ცუდად დამუშავებული და ხანმოკლე დროით ვარგისი საქონელი, დაუზოგავი პიროვნული და კულტურული ჩვევები
- ◆ არატანსადი დამოკიდებულება ქიმიურ ნივთიერებებთან, რომლებიც გამოიყენება, როგორც პლასტმასის წარმოებაში, ასევე სანმენდ საშუალებებში და საკვებში
- ◆ მშენებლობებისათვის, არაფრის მომცემი მეურნეობის, ქაღალდისაგან დამზადებული საქონლის წარმოების ან სხვა არასაფირო „საგნების“ დამზადებისათვის ტყეების გაჩეხვა

როდესაც ჩვენ ვიცით გამომწვევი მიზეზი იმისა, თუ რა ინვევს კლიმატის ცვლილებას, დაგვეხმარება კი ეს იმის განსაზღვრაში, თუ როგორ მივხედოთ ჩვენს პლანეტას და მის რესურსს: ვაფერხებთ, თუ არა ხეტყის გაჩეხვის ან ბუნებრივად წარმოქმნილი გავრცელების ადგილების მოსპობის, ნავთობის წიაღისეულის არაეფექტურად, ან არაეკონომიურად გამოყენების დამოკიდებულებას ჩვენი ცხოვრების სტილით? ჩვენ შეგვიძლია შევიტანოთ ცვლილება აღნიშნულ პრაქტიკაში და არა იმიტომ, რომ ეს ინვევს კლიმატის ცვლას და მიუხედავად იმისა მოახდენს თუ არა ჩვენი მოქმედებები სერიოზულ გავლენას კლიმატის ცვლილებაზე მომავალში.

ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრების წესად ვაქციოთ გარემოს დაცვა და არა იმიტომ, რომ გვეშინია, რომ თუ ასე არ ვიცხოვრებთ შეიძლება რაღაც ცუდი მოხდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვჯერა ეს არის სწორი არჩევანი.

სლოვაკეთი

გარემოსდაცვითი განათლება
სლოვაკეთში და რატომ არის
საჭირო ბავშვებისათვის
მისი სწავლა



შესავალი

სლოვაკი ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ წესებსა და პროეკოლოგიურ ქცევას, რაც დღეისათვის ისეთი ტენდენციების მთავარი განმსაზღვრელია, როგორცაა ნული ნარჩენი. ასეთი ქცევის ნაწილია:

მეორადი ტანსაცმლის გამოყენება – სლოვაკეთში ბევრი შესაბამისი მაღაზია და გაცვლის წერტილია ადგილობრივ თემებს შორის;

ნარჩენების სეგრეგაცია – ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შეიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა მეორადი ზეთის თემა და პეციალურ სავენდინგო დანადგარებში პლატმასის ბოთლების დაბრუნება;

სლოვაკეთის ამჟამინდელი პრემიერ მინისტრი ფილმის / ლიტერატურული ნაწარმოების „ვარხვი ანგარიში“ მთავარი ქალი გმირის ცოცხალი პროტოტიპია სლოვაკეთში.

ეკოლოგიური განათლება სლოვაკეთში

ძირითადი მიზნები

**დედამინაზე სიცოცხლის
შენარჩუნების პრობლემა
გლობალური გამოწვევა ხდება.**

ამ საგნის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მოსწავლის პიროვნები იმგვარად განვითარებას, რომ ცოდნის და უნარ-ჩვევების კუთხით, მათ, დედამინაზე სიცოცხლის მმართველი კანონების ცოდნაზე დაყრნობით, შეძლონ გაიგონ, გაანალიზონ და შეაფასონ ურთიერთობა ადამიანსა და მის გარემოს შორის; იცოდნენ და გაიგონ ურთიერთობა ადამიანთა მოსახლეობის განვითარებასა და მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიებზე გარემოსადმი დამოკიდებულებებს შორის.

ეკოლოგიური განათლება

01.

ადამიანი ყოველდღიური აქტივობების და გარემოსადმი დამოკიდებულებისათვის საჭირო უნარების ანვითარება;

02.

გარემოსდაცვით სფეროში თანამშრომლობის განვითარება და მისი ჩამოყალიბება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;

03.

იმ სოციალური და კულტურული გავლენების გაგება, რომლებიც ანსაზღვრავენ ადამიანურ ფასეულობებსა და ქცევებს, იმ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობა, რომელიც ეხება ადამიანის, როგორც მომხმარებლისა და მწარმოებლის ურთიერთიერთობას გარემოსთან;

04.

ქონდეს წვდომა გარემოს მდგომარეობის შესახებ ობიექტურ და სანდო ინფორმაციაზე და ამ საკითხზე კომუნიკაციის შესაძლებლობა; შეეძლოს რაციონალურად დაიცვას საკუთარი პოზიცია, აზრი და შეხედულება;

05.

ყველდღიური აქტივობებისათვის და ადამიანის გარემოსადმი განწყობებისათვის საჭირო უნარების განვითარება.



მონაცემების და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საშუალებების გამოყენება ინფორმაციის შესაგროვებლად და დამუშავება და საკუთარი ნამუშევრის პრეზენტირება;



მდგრადი განვითარების, როგორც ადამიანთა საზოგადოების შემდგომი განვითარების დადებითი პერპექტივის მნიშვნელობის გააზრება;



პრაქტიკული სწავლის მეშვეობით გარემოს შექმნის და დაცვისადმი აქტიური მიდგომის მხარდაჭერა;



ჯანსაღი ცხოვრების წესზე პასუხისმგებლობის გრძნობის და გარემოს ესთეტიური ღირებულებები აღქმის გაძლიერება; გარემოსდაცვითი აქტივობების ღირებულებითი სისტემის გაღრმავება, განვითარება და გაძლიერება;



გუნდური მუშაობის, ამოცანები განაწილების და პასუხისმგებლობის ადების უნარების განვითარება.

სად სწავლობენ სლოვაკი ბავშვები ეკოლოგიის შესახებ?

იმ ადგილების და იდეების
ჩამონათვალი, რომელიც სახლშიც
შეგიძლიათ შექმნათ.

სლოვაკი ბავშვები პროეკოლოგიური
ქცევის შესახებ სკოლაში,
გაკვეთილების დროს სწავლობენ, თუმცა,
ეს საათები საკმარისი არ არის და
აუცილებელია კლასგარეშე აქტივობებიც.

ყველაზე ხშირად
მეტყევეები, ეკოლოგები და ა.შ.
მოსწავლეებს გაკვეთილზე ესაუბრებიან.

ბავშვები მიყავთ სპეციალურ ადგილებში
და გაკვეთილებს უტარებენ ადგილზე,
მაგალითად ბუნებრივ ტყეში.

სატყეო სკოლა (LESNÁ ŠKOLA)

ახლად აშენებული სასწავლო ცენტრები, სადემონსტრაციო ობიექტები, სასწავლო სასიარულო ბილიკები და მეტყევე მასწავლებლები შეასწავლიან ტყეს სამიზნე ჯგუფებს, 10,000 კვ.მ. მეტ ფართობ ტერიტორიაზე. სკოლა, მისი ინოვაციური კონცეფციით, მოიცავს 4,100 კვ.მ. ფართობის ტერიტორიას; მდებარეობს ქალაქში და პროცესს შემატებს ვიზუალური დათვალიერების და სწავლის ელემენტებს; ხელი შეეწყობა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

გეოპარკები

საზოგადოების განათლების და სწავლების გარდა, გეოპარკებში ასევე ხორციელდება სამეცნიერო კვლევები და უსულო ბუნების დაცვითი საქმიანობა. ეს კი, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, ასევე არქეოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული ფასეულობის კუთხითაც. გეოპარკები შეიქმნა UNESCO -ს ინიციატივის მხარდაწერით.

სლოვაკეთი მოცემულ ტრენდს 2000 წელს შეუერთდა, როდესაც სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა სლოვაკეთის რესპუბლიკაში გეოპარკების კონცეფცია. ამჟამად სლოვაკეთში სამი მოქმედი გეოპარკია: ბანსკოშტიავნიცკი, ბანსკობისტრიცკი და ნოვოჰრად-ნოვგრადი. მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ გეოპარკების ვებგვერდზე:
<http://www.geopark.sk/>



ეკოცენტრები

სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო, მის დაქვემდებარებაში მყოფი და პარტნიორი ორგანიზაციები ამუშავებენ პროგრამებს, პროექტებს და სხვადასხვა აქტივობებს, 2025 წლამდე გარემოსდაცვითი განათლების, განათლების და ინფორმირებულობის სადეპარტამენტო კონცეფციის შესაბამისად.

შეგროვებული მონაცემების საფუძველზე უკვე შედგენილია სათემო განათლებისა და ტრენინგების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების ძირითადი აქტივობების რუკა.

უფრო მწვანე სლოვაკეთი

განათლების, ტრენინგის და გარემოსდაცვითი ცნობიერების საკითხი განერილია სლოვაკეთის რესპუბლიკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის სტრატეგიაში 2030 წლამე - უფრო მწვანე სლოვაკეთი; სტრატეგია მე-13 თავში ნათქვამია, რომ გარემოსდაცვითი განათლება და სწავლება საჭიროა ყველა ასაკის ადამიანებისთვის. ზემოთხსენებულის მიზანია ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების და განმანათლებლობის სისტემის და ასევე მდგრადი განვითარების განათლების გაუმჯობესება. ამავდროულად, ამან უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებლიანი წარმოების, მოხმარების განვითარება და ბუნებრივი რესურსების დაცვა არაფორმალური განათლების მეშვეობით და კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება.



EWOBOX


სრული ინფორმაცია გარემოსდაცვითი განათლების და განმანათლებლობის შესახებ კონცენტრირებულია EWOBOX ვებგვერდზე.

ვებგვერდი შეიცავს უახლეს ინფორმაციას არა მხოლოდ მსოფლიოს გარშემო გარემოს დაცვის სფეროში ახალი ამბების და ევროკავშირში ეკოლოგიის სფეროში მიმინარე პროცესები შესახებ, არამედ ინფორმაციას სლოვაკეთის რეგიონებიდან, ქალაქებიდან, მუნიციპალიტეტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, სკოლებიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.



პოლონეთი

ეკოლოგიური
განათლება
პოლონეთში



ეკო- სკოლა

**ეს არის საერთო ეროვნული
საგანმანათლებლო
პროექტი, რომელიც
ხორციელდება სკოლებში,
საბავშვო ბაღებში და
საგანმანათლებლო
დანეშეულებებში.**

პროექტი შეიქმნა
სხვადასხვა
დანეშეულებების ქსელის
ჩამოსაყალიბებლად,
რომლებიც,
თანამშრომლობის
მეშვეობით, ცვლიან
იდეებს თუ როგორ უნდა
მოხდეს ახალი თაობის
ეკოლოგიური ცნობიერების
ჩამოყალიბება.

1. გარემოს დეგრადაციის
პრობლემას მიეცეს შესაბამისი
ადგილი სოციალურ აღქმაში და ხელი
შეეწყოს ამ პრობლემის მომავალ
თაობებზე გავლენის განხილვას;

2. დავეხმაროთ თითოეულ ადამიანს
გააცნობიეროს, რომ მათი ბრძნული
გადანყვეტილებები და ქმედებები
ყოველდღიურ ცხოვრებაში გავლენას
ახდენს ბუნებრივი გარემოს
მდგომარეობაზე;

3. მოსწავლეებში და სკოლამდელი
ასაკის ბავშვებში ცოდნის
გაფართოება ეკოლოგიის და გარემოს
დაცვის სფეროს საკითხების
შესახებ, განსაკუთრებული აქცენტით
გარემოს დეგრადაციის გავლენაზე იმ
ორგანიზმები სიცოცხლესა და
ჯანმრთელობაზე, რომლებიც მასში
გვხვდება;

4. სტუდენტების სტიმულირება, რომ
აქტიურად იმოქმედონ გარემოს
საკეთილდღეოდ, აქტივობებში,
ღონისძიებებში და სხვა
პროეკოლოგიურ პროექტებში
მონაწილეობით, რაც მათ აძლევს
განცდას, რომ პირად გავლენას
ახდენენ გარემოს მდგომარეობის
ცვლილებებზე;

5. მოსწავლეების განწყობები
იმგვარად ფორმირება, რომ მათ,
საკუთარი ჩვევების ცვლილებით
შეებრძოლონ გარემოს დეგრადაციას
საკუთარ თემებში, ქვეყანაში და
მთელ მსოფლიოში.

2019/2020 სასწავლო წელს, პირველ, ეკო-სკოლა 2020 პროექტში მონაწილეობა მიიღო 106-მა დაწესებულებამ.

2020/2021 სასწავლო წელს, მეორე, ეკო-სკოლა 2021 პროექტში მონაწილეთა რაოდენობა მთელი პოლონეთიდან გაიზარდა 336 დაწესებულებამდე.

მესამე, ეკო-სკოლა 2022 პროექტი ჯერ კიდევ მიმინარეობს და აპლიკანტ დაწესებულებათა რაოდენობა უკვე 980-ია.



01. ეკოლოგიური აქცია (როგორცაა, შობა კლასში პლასტმასის გარეშე, მოფლის დასუფთავება, ეკოლოგიური პიკნიკი, ხეები დარგვა, ნარჩენები შეგროვება, საკვების შეგროვება თავშესაფრი ცხოველებისთვის, ელექტრო-მონწყობილობების ნარჩენების შეგროვება);

02. სასკოლო, ან საერთაშორისო ეკოლოგიური ღონისძიება (როგორცაა, ტყის დღე, დედამიწის დღე);

03. სასკოლო შეჯიბრი ეკოლოგიის/გარემოს დაცვის სფეროში (როგორცაა, შეჯიბრი ცოდნაში, ეკოლოგიური პოსტერების კონკურსი, ბუნების ფოტოსურათების კონკურსი, ლიტერატურული კონკურსი - ლექსი, ესე, კომიქსი ბუნების სილამაზის შესახებ);

04. გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი სკოლის/ საბავშვო ბაღის ჰოლში, ან საკლასო ოთახში (მაგ. ისეთ თემებზე, როგორცაა - ვისწავლოთ ფუტკრების შესახებ, გადაშენების პირას მყოფი სახეობები, ნარჩენების სრულად დაშლისთვის საჭირო დრო, ჰაერის დაბინძურები გავლენა ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე, გლობალური საფრთხეები);

05. საველე გაკვეთილი/საველე აქტივობები/ექსკურსია ბუნებაში (მაგ. ეროვნულ პარკში, ლანდშაფტურ პარკში, ტყეში, საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმში, სატყეო ზონაში);

- ერთწლიანი თანამშრომლობის შემდეგ, მასწავლებლებმა, რომლებმაც შეასრულეს საპროექტო დავალებები და გააგზავნეს ეკო-ანგარიში შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შესახებ და მოთხოვნილი დანართები, მიიღებენ მოცემული წლის „ეკოლოგიის პრომოუტერის“ წოდებას - მაგ. - ეკოლოგიის პრომოუტერი 2022;

- ყოველი დაწესებულება, სადაც განხორციელდა საპროექტო დავალებები, რაც დასტურდება ეკო-ანგარიშით, იღებს შემდეგ წოდებას - ეკო-სკოლა / ეკო-საბავშვო ბაღი / ეკო-ქარხანა მოცემული წლისთვის - მაგ. - ეკო-სკოლა 2022;



ეკო-განათლება ჩვენთვის რესპუბლიკაში



რეზიუმე

ჩეხეთის რესპუბლიკაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობა (85%) დადის საბავშვო ბაღში. ჩეხეთის სასწავლო გეგმაში, სახელწოდებით – ჩარჩო საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელი განათლებისთვის – სიტყვები „ბუნება“ ან „ბუნებრივი“ 20-ჯერ არის ნახსენები 46 გვერდიან დოკუმენტში. გეგმაში განწერილი რამდენიმე მიზანი დაკავშირებულია ბუნებასთან, ანუ ბუნების მონახულება, ბუნების გაცნობა, ბუნებით სიხარული, ბუნების დაცვა და ა.შ.

ტრადიციულ ჩეხურ საბავშვო ბაღში მასწავლებლები ბავშვებთან ერთად გარეთ გადიან „თუ კარგი ამინდია“. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი იშვიათად გადიან გარეთ წლის გარკვეულ დროს, განსაკუთრებით ზამთარში. მოძრაობა ტყის საბავშვო ბაღებისთვის ჩეხეთში 15 წლის წინ დაარსდა. ჩეხეთის რესპუბლიკაში ახლა თითქმის 150 ტყის საბავშვო ბაღია. ისინი ზრუნავენ და ასწავლიან დაახლოებით 3000 ბავშვს. ჩეხეთის რესპუბლიკის საბავშვო ბაღებზე ასევე გავლენას ახდენს სკოლის ბაღების ბუნებრივ ბაღებად გადაქცევის მოძრაობა და მოძრაობა „გამოდი!“

წყარო: ჩეხეთის სკოლამდელი ასაკის ბავშვების წარმოდგენები ბუნების შესახებ, კატერინა იანკარიკოვა

ლანდშაფტი გზაჯვარედინზე – სამინისტრო პროგრამა მთელი ქვევისთვის

2022 წლის ბოლოს, გარემოსდაცვითი განათლების ცენტრმა SEVER, გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, გამოაქვეყნა „ლანდშაფტი გზაჯვარედინზე“ ინსტრუმენტის განახლებული და გაფართოებული ვერსია. პროგრამა, რომელიც შედგება შიდა და გარე გაკვეთილებისგან, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ დაწყებითი და საშუალო სკოლების მე-2 კლასის მასწავლებლების მიერ.

ეს არის ოთხსაათიანი ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც თემატური ლანდშაფტის მაგალითზე გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გარემოსდაცვითი საკითხების წარმოდგენა სხვადასხვა საგანში და ამავდროულად წარმოაჩინოს საკმარისად ფართო თემას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მაგალითად, სკოლის მასშტაბის პროექტისთვის, თემატური დღისთვის ან მრავალდღიანი კურსის ფარგლებში. პროგრამა შედგება 6 დამატებითი სავარჯიშოსგან, მაგრამ თითოეული მათგანის განხორციელება მასწავლებელს შეუძლია დამოუკიდებლად. მათი მიზანია წარმოაჩინონ ჩეხეთის რესპუბლიკაში ადამიანის ლანდშაფტის გამოყენების საკითხები აქ დასახლების პირველი დღიდან დღემდე, აჩვენონ განახლებადი და არაგანახლებადი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მაგალითები, გამოავლინონ აქტუალური გარემოსდაცვითი პრობლემების წყაროები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები და კავშირი მდგრადი განვითარების პრინციპებთან.

საკლასო აქტივობების სერიას მოჰყვება ოთხსაათიანი სავალე სამუშაო პროგრამა სახელწოდებით "მდგრადი რეგიონი". აქ, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეაფასონ რეგიონი მდგრადობის შერჩეული ინდიკატორების მიხედვით, სკოლაში სეირნობისას - ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია ლანდშაფტისა და გარემოსთან ქცევასთან (მაგ. ტყის საფარის წილი ჩეხეთის რესპუბლიკის მთლიან ფართობზე, „ლანდშაფტის გამტარიანობა იზრდება ველური ორგანიზმების მიგრაციისთვის“, „ლანდშაფტიდან წყლის გადინება საგრძნობლად ნელდება“). დამოუკიდებელი მუშაობის სახით, სტუდენტები სთავაზობენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაფერისია რეგიონის არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ან გასაუმჯობესებლად.

ზემოთ აღწერილი ყველა აქტივობა არაერთხელ იქნა გადამოწმებული სკოლებისთვის შემუშავებული სტაციონარული და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების დროს, დამოწმებული სასკოლო პრაქტიკაში მასწავლებლების მიერ, რომლებთანაც ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ კონსულტანტების სახით ინსტრუმენტის შემუშავების დროს. პედაგოგებისთვის სასარგებლოა უნივერსალური, პორტატიული ხელსაწყო გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ჩეხეთის მთელ ტერიტორიაზე. ეს კი, ამავდროულად ადგილობრივ გარემოში კონკრეტული სკოლის სავალე აქტივობებთან კავშირის შესაძლებლობას იძლევა.



„ლანდშაფტი გზაჯვარედინზე“ გვთავაზობს აქტივობების დეტალურ აღწერას, მათ შორის საჭირო დანართებს, როგორცაა ვიზუალური მასალები ან სამუშაო ფურცლები, მეთოდოლოგია და ინფორმაცია მასწავლებლებისთვის.

მოხარული ვიქნებით, თუკი რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი გამოიყენებს ხელსაწყოს და მოგვანოდებს თავის გამოხმაურებას. თუკი დაინტერესებული ხართ უფრო სიღმისეულად ჩაიხედოთ ლანდშაფტის თემაში და ჩვენი გაკვეთილების ნახვა თქვენს სტუდენტებთან ერთად, შეგიძლიათ შეუკვეთოთ „ლანდშაფტი გზაჯვარედინზე“.

www.sever.ekologickavychova.cz/e-shop

ფაილი „ლანდშაფტი გზაჯვარედინზე“ გამოქვეყნდა გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის SEVER Horní Maršov-ის მიერ, რომელიც მოქმედებს გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, როგორც ნაწილი პროექტისა - „ლანდშაფტი გზაჯვარედინზე (მდგრადსა და არამდგრადს შორის) - ინოვაცია და სასწავლო გეგმის გაფართოება“.

წყარო: <https://www.ekologickavychova.cz/>
გარემოს დაცვის სამინისტრო www.mzp.cz

მწვანე ნაკებობები - არჩევანი მომავლისთვის

ეკოლოგიური მშენებლობა ეფუძნება ჭანსადი ბუნებრივი მასალების შერჩევას და ენერჯის დაზოგვის კონსტრუქციას. გამოიყენება სუფთა, განახლებადი ენერჯიები; პროცესი მოიცავს შენობების რაციონალურ გამოყენებას და სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მაღალ გამძლეობას.

**განათლება მდგრადი
განვითარების
სულისკვეთებით, უპირველეს
ყოვლისა, არის მომავლის
დაგეგმვა და პროექტოლოგიური
დამოკიდებულების
ჩამოყალიბება.**

**ეს არის ცხოვრების წესი,
რომელიც დაფუძნებული უნდა
იყოს პლანეტისთვის ყველაზე
კარგ არჩევანზე. ასევე,
ისეთი მნიშვნელოვანი
საკითხის კუთხით, როგორცაა
თუ როგორ და სად ვცხოვრობთ.**



„რატომ გვჭირდება ეკოლოგიური მშენებლობა?“

მსოფლიო მწვანე შენობის საბჭოს ანგარიშის მიხედვით, 2050 წლისთვის ენერჯიაზე მოთხოვნა 50%-ით გაიზრდება და შენობების წილი გლობალური ნახშირორჟანგის ემისიაში არის 39%, ხოლო გლობალური მასალების მოხმარებაში 50%.

91%

ადამიანების 91% ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

ეს ნიშნავს უზარმაზარ გამოწვევებს მწვანე შენობისთვის, კლიმატის, რესურსების და ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

ეკოლოგიურად სუფთა მასალები

მდგრადი მშენებლობის სულისკვთებით შენობების აღმართვისას უნდა იქნას გამოყენებული ბუნებრივი რესურსები, როგორცაა ქვიშა, ცაცხვი, თიხა ან თაბაშირი. სამშენებლო პროდუქციის წარმოებისთვის რეკომენდებულია რაც შეიძლება ნაკლები ენერჯის გამოყენება და გარემოსთვის საზიანო ნარჩენების არ გაშვება. ასეთი გადაწყვეტილებების წყალობით შენობები ენერგოდამზოგავი, ხმაგაუმტარი და ცეცხლგამძლეა და აქვთ კარგი მიკროკლიმატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი ასპექტი ობიექტის მშენებლობით არ სრულდება - ის ასევე ეხება მის გამძლეობას და დანგრევის შემდეგ გამოყენებული მასალების გადამუშავების შესაძლებლობას“.

(წყარო: www.planradar.com)



მეთოდები

როგორ ვასწავლოთ ეფექტურად გარემოსდაცვითი განათლება

რაც უფრო კარგად ვიაზრებთ ჩვენ და მოსწავლეები, რომ ეკოლოგია ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა, მით უკეთესი. აუცილებელია ვეცადოთ ყველას დავანახოთ საკითხის მნიშვნელობა

- ვიყოთ პასუხისმგებელი ჩვენს მედებებზე
- რომ თითოეულ ქმედებას მოყვება რეაგირება/შედეგები
- რომ თითოეული ჩვენგანი ჩვენს სიცოცხლეზე გავლენას ვახდენთ
- წესი პირველი

1. „ვაუ!“ ეფექტი - იპოვეთ ყველაზე სიღმისეული „რატომ?“

გააზრებინეთ მოსწავლეებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლება მათთვის; დაეხმარეთ მათ გაიგონ თუ რა არის მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და როგორ მიმართებაშია ეს ყველაფერი ეკოლოგიასთან.

დავალება შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად ვორქშოფის დროს, ან ინდივიდუალურად, საშინაო დავალების შესრულების დროს. პასუხები შეიძლება გაიცეს სხვადასხვა ფორმით - ეს შეიძლება იყოს თამაში, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს უჩვენებენ პასუხებს, ხატავენ ან უბრალოდ ასრულებენ ჩანაწერებს რვეულში.

დავალებები სტუდენტებისთვის / მოსწავლეებისთვის

კარგი სავარჯიშოა თქვენი მიზნის და მიზეზის შემდეგ წინადადებაში ჩაწერა:

მე მინდა _____
რადგან _____

★ კითხეთ საკუთარ თავს - რატომ? რატომ არის ეს მიზანი მნიშვნელოვანი თქვენთვის? რატომ აქვს ამას მნიშვნელობა?

ჩადით სიღმეებში.
გააგრძელეთ კითხვა - რატომ. რატომ აქვს ამას მნიშვნელობა? რატომ ახლა?

რაც უფრო ჩაუღრმავდებით ამ საკითხს, უფრო მეტს გაიგებთ საკუთარი თავის და თქვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.



2. აქ და ახლა – იპოვეთ ყველასთვის მნიშვნელოვანი მიზეზი.

თხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ ეკოლოგია ადგილობრივი თემის, ადგილზე არსებული პრობლემების კონტექსტში.

კვლევები, რომ რაც უფრო ახლოს ვართ პრობლემასთან, უფრო მეტად ვახდენთ საკუთარი თავი მასთან იდენტიფიცირებას. დავასახელოთ კონკრეტული პრობლემა.

მაგალითად, თუკი ვიხილავთ გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, იპოვეთ ასეთი ცხოველი და დაარქვით სახელი; თხოვეთ მოსწავლეებს მოიგონონ ისტორია ამ ცხოველთან დაკავშირებით; ისე, რომ ეს კონკრეტული ცხოველი იყოს საფრთხი ქვეშ მყოფი ყველა სახეობის სიმბოლო.




3. ადამიანური შკალა - გაიგეთ რა არის ცნობილი. აქცენტი გააკეთეთ ემოციებზე

ცვლილება ემოციებით იწყება. თუკი გამოვიწვევთ ემოციებს მოსწავლეებში, შევძლებთ მათში პრო-ეკოლოგიური განწყობების შექმნას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფაქტები ვიზუალურად ჩვენება, წარმოსახვის პროცეში ჩართვა. მაგალითად, შეგიძლიათ აჩვენოთ ნარჩენების „კუნძულზე“, რომელიც ოკეანეში თავიუფლად დაცურავს და რომელიც ტეხასის შტატის ზომისაა და უფრო დიდია. შედეგად, ყველა მარტივად წარმოიდგენს, თუ რამდენად დიდია ეს პრობლემა; თუ რამხელა საფრთხეს შეიცავს ის პლანეტისთვის.

★ თხოვეთ მოსწავლეებს გაგიზიარონ თუ რა აძლევს მათ მოქმედების მოტივაციას და რატომ.

★ თხოვეთ მათ ეკოლოგიური პრობლემები შესახებ ემოციების ერთ ისაუბრონ.



4. მეხსიერება, როგორც კაუჭი - იპოვეთ რაც შეიძლება მეტი კაუჭი

რაც უფრო მეტად განსხვავდება რაიმე იმისგან, რაც ვიცით და რასაც მიჩვეული ვართ, მით უფრო კარგად ვიმახსოვრებთ. ყველაფერი, რაც საშუალოზე მეტია, რაც ჩვენი ყოველდღიური რუტინიდან გვაგდებას, უფრო ადვილად დასამახსოვრებელია.

ამიტომ, მაგალითად, უფრო კარგად დაგვამახსოვრდება მამაკაცი ელეგანტურ კოსტუმში და წითელი სპორტული ფეხსაცმელებით, ვიდრე შესაბამისი ფეხსაცმელით, რადგან სპორტული ფეხსაცმელი ასეთ იმიჯს არ უხდება.

✦ *ესაუბრეთ მოსწავლეებს ეკოლოგიის შესახებ ისე, რომ ისინი თავისი რუტინიდან ამოვარდნენ; მიაწოდეთ მათ გამაკვირვებელი ფაქტები, ან თხოვეთ მოიძიონ ისინი თავად.*

✦ *ჩაატარეთ ამბის მოყოლის სავარჯიშო რეალური ინფორმაციის გამოყენებით, მაგრამ, მაგალითად მისი გადატანით გამოგონილ რეალობაში.*



როგორ ვასწავლოთ გარემოსდაცვითი განათლება

რა გავაკეთოთ? როგორ დავინწყოთ
სიტუაციის გაუმჯობესება?

- ✦ დაინწყეთ საკუთარი ეზოს დასუფთავებით. იმისათვის, რომ შევაჩეროთ მასშტაბურად და სწრაფად მზარდი გარემოს დეგრადაცია, საჭიროა ყოველი ადამიანის ცნობიერებაში ღრმა ცვლილებები მოხდეს.
- ✦ მნიშვნელოვანია საზოგადოების განათლება ადრეული ასაკიდან, რათა ყველამ გააცნობიეროს, რომ მათმა პასუხისმგებელმა ქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ჩვენი გარემოს დეგრადაციის შემცირებას.
- ✦ როდესაც ვფიქრობთ, რომ მომავალმა თაობებმა სუფთა გარემოში უნდა იცხოვრონ, მნიშვნელოვანია თითოეულ ადამიანში პროეკოლოგიური ქცევის განვითარება.



ეკოლოგიური განათლება საბავშვო ბაღიდან უნდა დავიწყოთ;



ბავშვები ყველაზე კარგად სწავლობენ, მათ მუდმივად მოქმედება სურთ და სწორედ მათგან უნდა დავიწყოთ ეკოლოგიური განათლება.

ბავშვები ასევე არიან მშობლებისა და უფროსი დაძმის შესანიშნავი აღმზრდელები, ისინი ხშირად აძლევენ რჩევებს ოჯახის წევრებს, თუ რა უნდა გააკეთონ, რა შეცვალონ გარემოზე ზრუნვისთვის.



გარემოსდაცვითი განათლების პროცესში, მოსწავლემ:

- სკოლაში უნდა მიიღოს სანდო ცოდნა გარემოს დეგრადაციის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რასაც უახლესი სამეცნიერო დაკვირვებების და კვლევების შედეგებიც ადასტურებს;
- უნდა შეიძინოს სიმართლის ყალბი ამბებისგან გარჩევის უნარი;
- შეეძლოს განასხვავოს მეცნიერული მტკიცებულებები პირადი მოსაზრებებისგან;
- უნდა შეიძინოს მეცნიერული მონაცემების ანალიზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ძიების, დასკვნების გამოტანის უნარი და ამის საფუძველზე უნდა შეეძლოს ამ საფრთხის შედეგების 5, 20 ან 50 წელზე პროგნოზირება;
- უნდა შეეძლოს შეიტანოს ცვლილებები საკუთარ ცხოვრებაში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მისი წვლილი გარემოს განადგურებაში.



10 ნაბიჯი ნარჩენების შემცირებისკენ

1

გადააკეთეთ
გადაგდების ნაცვლად, იქნებ თქვენი ძველი ელექტრო-მონაცემთა ელემენტი რაიმე სასარგებლო ნივთათ გადააკეთოთ თქვენთვის, ან თქვენი სახლისთვის

2

ხელახალი გამოყენება
თუ ძველი ჯერ კიდევ ვარგისია, გააგრძელეთ მისი გამოყენება ახლის ყიდვის ნაცვლად

3

შეკეთება
ნახეთ, შესაძლებელია თუ არა ნივთის შეკეთება იმავე ნივთის ყიდვის ნაცვლად

4

იზრუნე
შეძენილი პროდუქტი უფრო დიდხანს გაძლებს, თუ მასზე იზრუნებ

5

გააკეთე შენ თვითონ
ყველაფერს ვერ იყიდი; მიმოიხედე გარშემო რისი გაკეთება შეგიძლია, სასურველია იმის გამოყენებით, რაც უკვე გაქვს

6

არ იყილოთ „ნაგავი“
მაგალითად, უარი თქვით შეფუთულ პროდუქტებზე, რატომ არ ყიდულობთ ფოლგაში დაფასოებულ ბოსტნეულს ან ხილს; არ ჯობია, პირველი ხელიდან ბაზარში იყიდოთ გამყიდველისგან?

7

ითხოვეთ
იმის ნაცვლად, რომ იყიდოთ ახალი ნივთები, რომლებსაც მხოლოდ ერთხელ გამოიყენებთ, ითხოვეთ საჭირო ნივთი მეგობრებისგან

8

ხელახლა ყილვა
აუცილებელია ყველაფერი ახალი გქონდეთ? არა, ჯობია შენც და პლანეტაც იყოთ „მეორადი“

9

გაცვალით
ეს არის ძალიან კარგი საშუალება, რომ შეავსოთ დაკარგული ნივთები და ამავედროულად მოიცილოთ ის, რაც აღარ გჭირდებათ.

10

შეზღუდეთ შოპინგი
სანამ რაიმეს იყიდით, დაუსვით საკუთარ თავს მთავარი კითხვა: მჭირდება თუ უბრალოდ მინდა?

დავალებები მოსწავლეებისთვის

განახორციელეთ ჩვეულებრივი მოქმედებები

შესთავაზეთ. აცადეთ მოსწავლეებს თავად მოიგონონ აქტივობა; მაგ. ტყის განმენდა ნარჩენებიგან ან სხვა.

ვორქშოპები

გააკეთეთ კრეატიული აქტივობები და არჩვენეთ მოსწავლეებს თუ როგორ გამოიყენონ ის, რაც უკვე ყველას აქვს - გააგრძელეთ ნივთების გამოყენება გადაგდების ნაცვლად.

სამაგალითოდ, შეგიძლიათ ნახოთ ინსპირაციული ვიდეოები YouTube-ზე.

ეკო-შეგროვება

არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მათი ოჯახები წევრებსაც შეუძლიათ გამოიყენონ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა პირდაპირ აქტივობებში და იყვნენ დაინტერესებული ეკოლოგიასა და საკუთარი სამეზობლოს კეთილდღეობაში.

მაგალითად, შესაძლებელია ბოთლის სახურავების შეგროვება და მათი გაყიდვიდან აღებული თანხით ქველმოქმედების განხორციელება ადგილობრივად.




„ლეპნიგნი“

რას შეიცავს „ლეპნიგნი“?

„ლეპნიგნი“, ერთგვარი სასწავლო საქალაქოა. კვდება შედარებით სქელი მუყაოსგან, და შიგნით განთავსებულია (მინებებულია) სხვადასხვა წიგნები, ჭიბები, ილუსტრაციები, შენივნები, რაც ავტორი იდეის და გამოგონების შესაბამისად ინფორმაციის ორგანიზების საშუალებას იძლევა.


პოსტერები

პოსტერები შესაძლოა გაკეთდეს „ლეპნიგნების“ მსგავსად, ბარათებისა და მარკერების გამოყენებით და ასევე განავითარებს მოსწავლეთა გრაფიკულ და ინტერნეტ უნარებს, პოსტერების კომპიუტერის მეშვეობით შექმნის შემთხვევაში.



აქტივაციის მეთოდები

პორტფოლიო



მეტაგეგმა

გადასაჭრელი პრობლემა


რა მდგომარეობაა ამჟამად

როგორი უნდა იყოს სიტუაცია

რატომ არ არის სიტუაცია ისე, როგორც უნდა იყოს?

რა მოვიმოქმედოთ რობლემის გადასაჭრელად

გადაწყვეტილებების სამკუთხედი



სახელწოდება :

დააპროექტეთ თქვენთვის სასურველი
საცხოვრებელი სახლი

- ✔ შეადგინეთ ეკოლოგიური მასალების სია, რომელთა გამოყენებითაც გასურთ სახლის აშენება.
- ✔ აღწერეთ რისგან დამზადდება ცალკეული ელემენტები - იატაკი, კედლები, სახურავი, ავეჯი და ა.შ.
- ✔ შეამოწმეთ რა ეკოლოგიური მასალებია ხელმისაწვდომი თქვენს მხარეში - რა მასალებზე გაქვთ ადვილად წვდომა და აღწერეთ ამ მასალების როლი თქვენს ეკო-შენობაში.
- ✔ იპოვეთ საინსპირაციო ვიდეოები ონლაინ.

ეკოლოგიური მშენებლობა არის განათლება ფართო გაგებით

ისწავლით ისეთი მნიშვნელოვანი
საკითხების შემჩნევას, როგორცაა:

01. რა მასალებია ხელმისაწვდომი ადგილობრივად – გვასწავლის ანალიზს და გადამწყვეტილების მიღებას ლოკალური გარემოს კონტექსტში
02. რა შეიძლება ავაშენოთ ამ მასალებით?
03. ასწავლის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე და სხვებზე
04. ასწავლის გრძელვადიან დაგეგმვას
05. გვასწავლის, თუ როგორ მოქმედებს ჩვენი არჩევანი ჩვენი ადგილობრივი გარემოს ბედზე

„ეკო თოჯინების თეატრი“, როგორც სწავლების მეთოდი

ყოველდღიურად ჩვენ ირგვლივ უამრავი საყოფაცხოვრებო ნარჩენი გროვდება და შესაბამისად იზრდება ეკოლოგიური საფრთხეები. ნარჩენების მართვა პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზაა. სწავლის პროცესი, რომ საინტერესო იყოს მოსწავლეებისთვის, მათ უნდა შესთავაზო სახალისო, შემოქმედებითი და შედეგზე ორიენტირებული მეთოდით სწავლება.

თავდაპირველად „ეკო თოჯინების თეატრს“, არაფორმალური განათლების მიმართულებით, გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერების მიზნით შევქმენი სკოლაში. შემდეგ კი შევიტანე საკლასო ოთახში, როგორც სწავლების მეთოდი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ერთდროულად გავდეთ რამდენიმე მიზანზე: მოსწავლეები იმალებენ ცნობიერებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით, სწავლობენ ნარჩენების მართვას და მის ეფექტიანად გამოყენებას, ამავდროულად ისინი ახდენენ ახალი იდეების დაკავშირებას არსებულ ცოდნასთან, მათ აქვთ არჩევნის საშუალება (თავად ქმნიან ან მოიძიებენ უკვე არსებულ სცენარებს), რაც ზრდის სწავლის ჩართულობას და ინტერესს სასწავლო პროცესისადმი.

მეთოდის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ეკო თოჯინები მზადდება მუყაოს მეორადი გამოყენების ყუთებისაგან, მეორადი ნაჭრებისგან, ძველი ღილებისგან, მძივებისგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან, რაც ეკოლოგიური განათლების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს მოსწავლეებში.

მეთოდი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.

I ეტაპი. მოსამზადებელი სამუშაოები:

დავალების პირობის წარდგენა /შეფასების კრიტერიუმების გაცნობა/შესაქმნელ პროდუქტზე მსჯელობა;

II ეტაპი დავალების შინაარსზე მუშაობის პროცესი (როგორ შევქმნათ მინი სცენარი)


კონკრეტული თემის (მაგ. წყლის დაბინძურება) გავლის შემდეგ იქმნება სცენარი. სცენარისტვის ვირჩევთ გარემოს, სადაც ხდება მოქმედება (მაგ. მდინარის სანაპირო), შემოგვყვავს პერსონაჟები (მაგ. თევზები, გოგნები, ბიჭები და სხვა), გამოვყოფთ პრობლემას (მაგ. დაბინძურებული მდინარე და მისი სანაპირო) და ვსახავთ პრობლემის გადაჭრის გზებს (მაგ. დაბინძურებული სანაპიროს დასუფთავება, ბანერების განთავსება და სხვა).

III ეტაპი: ეკო თოჯინების დამზადება.

მობილიზებას ვუკეთებთ ყველა საჭირო რესურსს (მუყაოს ყუთები, მეორადი ნაჭრები, ჩხირები, ფერადი ქაღალდი, ფუნჯები, აკვარელის საღებავები, საჭრელი დანა, მაკრატელი, წებო და სხვა) და ვამზადებთ საჭირო რეკვიზიტებს.

IV ეტაპი: ჩვენებისთვის მზადება: როლების განაწილება / რეპეტიციები;

მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია / ჩვენების გამართვა;



აღნიშნული მეთოდის გამოყენება შეუძლია ნებისმიერი საგნის მასწავლებელს. მაგ. ქართულის მასწავლებელი მოთხრობის, იგავარაკის შესწავლის შემდეგ, მოსწავლეებს ინსცენირების სახით სთავაზობს შემაჯამებელ გაკვეთილს. ასევე შესაძლებელია საგანთა ინტეგრირება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის პროცესს. მაგ. ქართული ენის გაკვეთილზე მუშაობენ სცენარის შექმნაზე, ხელოვნების გაკვეთილზე ამზადებენ ეკო თოჯინებს და სხვა საჭირო რეკვიზიტებს, მუსიკის გაკვეთილზე- შესაბამის მელოდიას, ან ხმებს (მაგ. მდინარის ხმა) ადებენ სცენარს და ა.შ.

„ეკო თოჯინების თეატრის“ მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერებას მოსწავლეებში, არამედ მათ ემოციურ-სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებას. ისინი ხდებიან შემოქმედებითები, მათ შეუძლიათ პრობლემის დანახვა და შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან, სწავლობენ გუნდურობას, ურთიერთთანამშრომლობას, ახდენენ ახალი იდეის გენერირებას, ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, თავისუფლად აზროვნებენ, მათ აქვთ საერთო პასუხისმგებლობა და არიან ძალზედ ორიგინალურები.



ფოტოები ჩვენი სახელოსნოებიდან





ორგანიზაციი შესახებ

ფონდი მდგრადი ხვალისდელი დღე



ჩვენი მიზანია შევცვალოთ რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, რათა ყველამ იპოვოს მასში თავისი ადგილი და განვითარებამ არ გამოიწვიოს გარიყულობა. სწორედ ამიტომ გვინდა ავაშენოთ ხიდები სხვადასხვა სოციალურ, სამთავრობო და ბიზნეს ინსტიტუტებს შორის.

ჩვენი საქმიანობის ცენტრში ყოველთვის არის ხალხი, გარემო, ასევე განვითარება, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ პირობებს და სპეციფიკას და ინკლუზიურობას.

HumanDoc სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი



ფონდი HumanDoc შიქმნა იმისათვის, რათა საჭირო ცოდნით აღეჭურვა საზოგადოება და ინფორმირებულ საზოგადოებასთან ერთად ემოქმედა გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. ათწლეულის განმავლობაში, ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ მრავალი ინტერდისციპლინარული პროექტი, რომელთა უმრავლესობა საზოგადოების კეთილდღეობისა და შესაძლებლობების გათანაბრებას ისახავდა მიზნად. ჩვენი ძირითადი სპეციალიზაცია კომპლექსური, მრავალსაფეხურიანი პროექტების მენეჯმენტია, რაც შედეგია ეფექტიანი დაგეგმვის უნარების, ინფორმაციის კომპლექსური ანალიზისა და სწორად შერჩეულ გამოცდილ ექსპერტებთან თანამშრომლობისა, რომლებიც იზიარებენ ჩვენი ფონდის ღირებულებებს.

ორგანიკა სლოვაკეთი



ჩვენ ვართ ბუნებრივ მასალებთან მუშაობით გატაცებული ხელოსნების ჯგუფი. ჩვენი მიზანია, ჯანსაღი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის ადგილობრივი რესურსები გამოყენება. ჩვენ აღვადგენთ მშენებლობის ტრადიციულ მეთოდებს და ვახდენთ მათ კომბინირებას თანამედროვე ცოდნასთან და ბუნებრივ მშენებლობასთან. ჩვენ შეგვიძლია როგორც ახალი შენობების აშენება, ასევე არსებული ძველი სახლების გარემონტება.

ბაობები



ჩვენ ვაპროექტებთ და ვაშენებთ ჩაღის სახლებს და ბუნებრივ სათამაშო მოედნებს.

ჩვენ ვართ არქიტექტორების, დიზაინერების, ხელოსნებისა და მხატვრების ჯგუფი, რომელიც სპეციალიზირებულია ჩაღის სახლებისა და ბუნებრივი სათამაშო მოედნების მშენებლობაში.

Project financed by

- Visegrad Fund
-
-